# ტექნიკური დავალება:

**2020 წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე უნდა განხორციელდეს საღამო-კონცერტი (ღონისძიების ორგანიზება), რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები.**

**ღონისძიება გაიმართება ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებულ საბანკეტო დარბაზში. რომელიც პრეტედენტსა და შემსყიდველს შორის შეთანხმებული იქნება წინასწარ.**

**პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისათვის შემდეგი მომსახურების გაწევა, კერძოდ:**

**1.1. პოლიგრაფიის მოწოდება:**

**მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი საქონლის მოწოდება:**

**ა) მოსაწვევი** - 150 ცალი ღონისძიების მოსაწვევის ბეჭდვა-მოწოდება; მოსაწვევი უნდა იქნეს მოწოდებული ღონისძიების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კალენდარული დღით ადრე (ა5 ფორმატის). წარწერა და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით.

**ბ) დიპლომი** - 40 ცალი ა4 ფორმატის, სქელი მუყაოს ქაღალდი, ღია ფერის, ლამინირებით, დიპლომის ბეჭდვა-მოწოდება. ტექსტი და დიზაინი შეთანხმდეს შემსყიდველთან. აღნიშნული დიპლომები შემსყიდველს უნდა გადაეცეს არაუგვიანეს 1 დღით ადრე ღონისძიების დღემდე.

**1.2. წამყვანის მომსახურების გაწევა:**

ღონისძიებას უნდა ჰყავდეს 2 წამყვანი (ქალი და მამაკაცი) წამყვანმა აქტიურად უნდა იმუშაოს როგორც ღონისძიების დროს სცენაზე (წაიყვანოს კონცერტი, დააჯილდოოს ქალბატონები და სხვა) ასევე მაყურებლებთანაც. წამყვანის ვინაობა წინასწარ უნდა შეთანხდეს შემსყიდველთან. ღონისძიების პროგრამა წამყვანს გადაეცემა ღონისძიების დღემდე 1 დღით ადრე.

**1.3 მუსიკალური გაფორმება/ოპერატორის მომსახურება:**

ღონისძიების დღეს პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს მუსიკალური აპარატურისა და ღონისძიების მუსიკალური გაფორმების ტექნიკური პერსონალით მომსახურება, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული შემსყიდველთან.

**1.3. დიზაინით მომსახურების გაწევა:**

მიმწოდებელმა ღონისძიების დღეს უნდა განახორციელოს ოზურგეთის დარბაზის ინტერიერის დიზაინი. კერძოდ: არსებული სცენისა და მაგიდების მოწყობა, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს „8-მარტის“ დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ფორმატის შესაბამისი სადა და ლამაზი დიზაინით. დიზაინი უნდა შეთანმხდეს შემსყიდველთან წინასწარ. ასევე, მიმწოდებელი ვალდებულია ღონისძიების დღეს, დარბაზში, სცენა მოაწყოს განათებისა და კვამლის ეფექტებით.

**1.4 ფურშეტით მომსახურება:**

მიმწოდებელმა ღონისძიების დღეს, ოზურგეთის ტერიტორიაზე შერჩეულ საბაკენტო დარბაზში უნდა უზრუნველყოს ფურშეტით მომსახურეობა 200 ადამიანზე, მენიუ არანაკლებ წარმოდგენილ **დანართი N1-ის** სახით:

**1.5. ინვენტარისა და მონაწილე ჯგუფების ტრანპორტით მომსახურების გაწევა:**

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ღონისძიებაში მონაწილე ანსამბლის წევრების (40 ადამიანი) ტრანსპორტირება. ასევე უნდა უზრუნველყოს აპარატურის ტრანსპორტირებისთვის ცალკე ტრანსპორტით (4 დინამიკი. 2 ბას-დინამიკი. 8 სადგარი თავისი მიკროფონებით, მიქშერი) მომსახურება.

**1.6. საჩუქარი მოწოდება, გადასაცემი ქალბატონებისათვის:**

ღონისძიების მსვლელობის დროს დასაჯილდოებელ 40 ქალბატონს უნდა გადაეცეს ფასიანი საჩუქრები.

საჩუქრის აღწერილობა: სამზარეულო ტექნიკა მიქსერი სადგამითა და მეტალის ქვაბით (ქვაბის ზომა არანაკლებ 2 ლიტრისა, დანართი N2-ში მოცემულია ვიზუალური მხარე. მიქსერი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი, მუშა მდგომარეობაში. საგარანტიო არანაკლებ 6 თვე.

აღნიშნული საჩუქარი უნდა იყოს ინდივიდუალურად შეფუთული და ინდივიდუალურად მოთავსებული ა2 ფორმატის ზომის, სასაჩუქრე ჩანთაში

**1.7. ყვავილების თაიგულის მოწოდება:**

ა) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ღონისძიების დღეს, კონცერტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, სხვადასხვა ფერის ბუნებრილი ყვავილებით დამზადებული 40 ერთეული თაიგულის მოწოდება. თითოეული თაიგული უნდა შედგებოდეს არანაკლებ 4 ტოტი ყვავილისაგან და თაიგულის გასაფორმებელი სპეციალური ბუნებრივი მწვანე ფოთლებისა და წიწვებისაგან. ასევე, უნდა იყოს თექაში შეხვეული და სადად შეკრული. ყვავილების თაიგულის სიგრძე 60-70 სმ.

ბ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ღონისძიების დღეს, 130 ცალი ბუნებრივი ვარდის მოწოდება, ტოტი შეფუთული. სიგრძით არანაკლებ 60 სმ.

**1.8. სცენის შადრევანის გაშვების მომსახურება:**

მიმწოდებელმა ღონისძიების დღისათვის, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული დროისთვის, უნდა უზრუნველყოს სცენის შადრევანის მოწოდება და (არაუმეტეს 2,5 მეტრის სიმაღლის) გაშვების მომსახურება, სულ 10 ერთეული სცენის შარდევანი.

**დანართი N2 - სამზარეულო ტექნიკა - მიქსერის ნიმუში**